ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№12, 28 დეკემბერი, პარასკევი, 2018 წელი

გილოცავთ რაჟდგ 2019 ჩელ!

საახალწლო

სახყარავგჭს ადგგს ჯიმხლი,
მყყდროდ გჯდგჭი, მინდა, გწგრო.
ძგნს წინაძგ მე ქგდს ვიხრი,
ჯგრუყცნოჭო ახალწელო!
აი, მოგყგვ, მოგენდგვი,
ოცნგჭათა გელო გრცელო,
დამიმწიდგ ძგნი რთგელი,
წამიძგხი, ახალწელო!
ჯილაგს გელით ყგრო გამძლგს,
ამიცომაც გელით ახალს –
ჩგენს საუკგნგს და ჩგენს საძგლგს,
საკარითგელოს – ყგრო მალალს!
მინდა, ჭგვრი ძგნისთანა
დაგამჭგრო, დაგამგელო
და ცნოჭილი იყო მარად,
ჯგრ ყცნოჭო ახალწელო!
ძგნ იხარე, ხალხო ჩემო,
მეც ძგნს მეუგლედ გრჩგჭი მარად,
ოლონდ ჭგდიც წამეძგელოს,
რომ ძგვიგრძნო ძგნი ძალა!
ყუგდავგჭის თამადა ხარ,
გმარითგჭს, იძხი მოჭგინო ცალ,
მრავალ ახალს, მრავალ ახალს,
მრავალ ახალს მოგილოცავ!

ოთარ ძალამჭგრიძე

საახალწლო ნოველა

ქუჯი

25 დეკემბერს ბექას ჩამოსვლით იწყო შეკრება ქუჯის დიდმა მონაგარმა. ბექა უხმაუროდ შემოვიდა, თითქოს აქვე იყო გასული ცოტა ხნით. შემოანათა ლურჯი თვალების წყნარი შუქით და ბაბუას მოეხვია.

– მობილი ჩამოგიტანე, მომენატრები და პირდაპირ შენ დაგირეკავ ხოლმე.

ქუჯიმ ტელეფონი გამოართვა, შეათვალიერა, მერე ქამრიდან დიდი შავი, ოქროსფერსირმიანი ქისა მოიხსნა, იქიდან ორლარიანი ამოიღო და შვილიშვილს გაუწოდა.

– ხურდა დაიტოვეთ, იმპერატორი ადღეგრძელეთ ჩემს სახელზე!

ბექა დედას და მამას დააკვირდა. მამამ დაბლა დაიხედა, დედამ ხელი საფეთქელთან მიიტანა და ტუჩებით მოხაზა: "სკლეროზი".

– ბაბუა, რა, ვერ მიცანი? – თავი ვერ შეიკავა ბექამ, სტუდენტი იყო.

– რავა არ გიცანი, შე კაცო, ერთად ვსწავლობდით ვაჟთა გიმნაზიაში!

ჯერ მხოლოდ ოთხნი იყვნენ სახლში...

* * *

30-ში ლეგა გვარამი ჩამოვიდა, მონუმენტური სცენებისა და ზომით შთამბეჭდავი საჩუქრების მოყვარული, და ბაბუას წინ უზარმაზარი ტომარა დაუდო:

– გახსენი, შენია, ფარნავაზოვიჩ! – უთხრა.

– ააა, დამიბრუნე მოპარული უნაგირი, შე ცხენიპარია ჩერქეზო? – ქუჯიმ იმ ადგილას გაივლო ხელი ქამარზე, სადაც სიყმაწვილეში ხანჯალი ეკიდა.

ბექამ ხელზე ხელი დაადო და წყნარად უთხრა:

– ბაბუა!

– რა უნაგირი, კაცო, გახსენი! – და გვარამმა თვითონ გახსნა ტომარა. ტომრიდან მომცრო ქოხისხელა თეთრი ნაბადი ამოიღო, გრძელბეწვიანი, ბაბუას მოახურა და ჰკითხა:

– ას ათი წლის ხო ხდები, ვინმეს ამხელა საჩუქარი უჩუქებია შენთვის?

– იმპერატორმა მამული მაჩუქა ეკატერინოსთან.

გვარამის ახალშერთული ცოლი ბაბუას მიუახლოვდა და ჩვილი ქუჯი აჩვენა:

– აი, ბატონო ქუჯი, თქვენი შვილთაშვილი, ესეც ქუჯი, ცერებით სულ თქვენ დაგემგვანათ.

– ეგ წაიყვენეთ, თავლაში დააბით! რატომ შეწუხდით? რა ამბავია ამდენი საჩუქრები!

– რა სჭირს ბაბუას, სკლეროზი ხომ არ ეწყება? – ახლაღა დაფიქრდა ბევრ ფიქრს მიუჩვეველი გვარამი.

ქალბატონმა ბელამ ტუჩებზე მიიდო საჩვენებელი თითი.

* * *

ას ათი წლიდან ათ თვემდე ყველა ასაკის, ზომის, ტემპერამენტის და მისწრაფების ადამიანი მოგროვდა საახალწლოდ – ქუჯის 5 შვილის ნაყარი საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდა. ერთი სტუმარიც მოეძევებოდათ – შვილიშვილის, ფიქრიას მეგობარი, ბექაზე გულის წასვლამდე შეყვარებული თამუნა, მორიდებით წარუდგინა ფიქრიამ მასპინძლებს, ბიძას და ბიცოლას, და თამუნამაც აწითლებულმა მოიბოდიშა:

– ისედაც ბევრნი ხართ სახლში, კიდევ მე დაგემატეთ ...

– მოდი, მოდი, შვილო! – ხელი ჩამოართვა ფარნამ, – მეოცე იქნები, დავმრგვალდებით, კაია, პირიქით.

ოცი კაცის საახალწლო სუფრის მომზადებაში ვისაც როგორ შეეძლო, ისე მონაწილეობდა: ფარნა ბაზარში დადიოდა და ხანდახან ბექას გაიყოლებდა, ქალები ამზადებდნენ და აჭაშნიკებდნენ, თინეიჯერები მობილურებს აწკაპუნებდნენ და უფროსებისთვის გაუგებარ სიტყვებს ამბობდნენ, სიძეები ტრაბახობდნენ, პატარები გუნდაობდნენ და ფეხებით თოვლი და სველი შარვლები შემოჰქონდათ, სტუდენტი გოგონები ფიქრიას ოთახში დაბანაკდნენ, რათა, სიყვარულით გათანგულები, ახლა სიყვარულზე ლაპარაკით გათანგულიყვნენ, ჩვილი ქუჯი გაბმულად ტიროდა. დიდი სადგომი ოთახის სამი კარი გაუჩერებლად იღებოდა და იკეტებოდა – ვინ წინა ეზოდან შემოდიოდა, ვინ სასტუმრო ოთახში გადიოდა, ვინ უკანა ეზოდან შეშას ეზიდებოდა, ორწლინახევრის თამარი ისე იდგა სასტუმრო ოთახში გამავალ კართან და უბრალოდ აღებდა და კეტავდა, აღებდა და კეტავდა, 3 წლის სოლომონი კი უმიზეზოდ დარბოდა ყველა კარში.

ფარნა მოვიდა და თეთრ, მამალ ინდაურს ბაზრიდან წყალგაყვანილობის თეთრი მილებიც მოაყოლა.

– რა დროს მილები იყო, შე კაცო? — გაიკვირვა ბელამ.

– ერთი თვის წინ შევუკვეთე პავლიკას. ყველაფერი მოუტანია, ,,დიუმა და პოლდიუმა, მუფთები, ტრი ჩეტვერტი, უგოლნიკები", როგორც კი გაზაფხულდება, გამოვცვლი.

– და სხვა დროს მოგეტანა, ამ საახალწლოდ რა იყო ვითომ? მილები უნდა დაგვებედოს?...

– ძლივს ველირსე, შე ქალო! დავაწყობ სარდაფში, დაგვებედოს რა, ინდაურზე უფრო ე მილები მიხარია. ინდაური დამებედოს აბა?!

– ცოტა სიჩუმე, ბავშვებო, არაფერი არ მესმის!

– თამარ, ნუ გატანჯე კარები!

– დაუწიეთ რა ტელევიზორს!

– მე ვიცი დაწევა! – მიირბინა სოლომონმა და უფრო აუწია.

სალომეს ღორის თავის მოსახარში დიდი ქვაბის სახურავი გადმოუვარდა ღუმელიდან და ჩამჩა გადმოიყოლა, ამ დროს სოლომონმა გაირბინა და კინაღამ მოყვა ქვაბის სახურავის ქვეშ, წამის მეასედით გაასწრო, ლაშამ შეშა შემოიტანა და ისეთი სიმაღლიდან და ისეთი ხმაურით დაყარა ბუხართან, იფიქრებდი, მეხი ჩამოვარდაო, კატა ჟირინოვსკი, შემოკლებით ჟიჟი, ახტა და კედელს მიახტა, გვარამმა დიდი დანების ლესვა დაიწყო, მარიტამ კერკეტ კაკალს ჩაქუჩი დაუშინა და ისე გაჯიუტდნენ თვითონაც და კაკალიც, რომ მალე ალბათ ამ გაჯიუტებაში მარადისობას შეერწყმოდნენ. სიძეებმა ნარდის ქვები ააჭახუნეს და უფრო ხმამაღლა ატრაბახდნენ – მოეჩვენათ, რომ ხმაურში მათი ტრაბახი კარგად არ ესმის ოჯახის ყველა წევრს და მეზობელს. სოლომონის ბეკო ხან სოლომონს დასდევს სამ კართა შუა, ხან დივანზე ადის და იქიდან ცდილობს ღუმელზე შემოდგმულ ქვაბებში ჩაიხედოს, ხანაც წარმოიდგენს, რომ ტყეში დაიკარგა და მოშტეროდ აკიკინდება. ხოლო პატარა თამარის პაწაწინა კეკია ცდილობს ბეკოს კუდს ჩამოეკიდოს და აყეფებული ხტუნაობს ბეკოს კუდთან.

– ბავშვებო, ცოტა ჩუმად, თავი გამისკდა!

– ბეკო და კეკია მაინც გაიყვანეთ!

– დაუწიეთ რა ტელევიზორს, რა!

– ბაბუა სადაა, ბაბუა, ბავშვებო, მოძებნეეეთ!

ფართოდ იღება გაჯავრებული კარი და მხედრული ნაბიჯით, გაპრიალებული ტყავის ჩექმებით შემოაბიჯებს ქუჯი, მაღალი, ბეჭებში გაშლილი, ლურჯ თვალებს მკაცრად აკვესებს და უკვე მერამდენედ სვამს ერთ შეკითხვას:

– ამ დაწესებულებას პატრონი არა ჰყავს?!

ყველა ჩუმდება. ბელა მიდის მამამთილთან, დაყვავების ნიშნად ვითომ საყელოს უსწორებს, თუმცა არაფერი სჭირს მის საყელოს გასასწორებელი, – გაწკეპილია კაცი.

– ახალი წელია, მამა, თან პირველში თქვენი დაბადების დღეა და მოიყარეს თავი!

– რა? დაბადების დღე?

– ხო, ბაბუა, და თან ახალი წელი!

– ჯერ რა დროს ახალი წელია?!

– დიახ, მამა, ყველა რაღაცას ვაკეთებთ და ცოტა ავხმაურდით.

– ყველა რაღაცას აკეთებთ? ძლივს ვნახე ისეთი დაწესებულება, სადაც ყველა რაღაცას აკეთებს!

წამით ისევ ჩაჩუმდნენ. კეკიამ იუხერხულა სიჩუმე და წაუწკმუტუნა.

– წავალ მაშინ, შეშას ამოვიტან, სტაჟში ჩამეთვლება. – თქვა ქუჯიმ და გაბრუნდა.

– მე ჩავალ პართენასთან, პურს ამოვიტან. – ბელამ პირდაპირ ხალათზე მოისხა ქურქი.

– მე ჩავალ, დედა. – წამოდგა ბექა.

– იყოს, გავივლი, ჩემთვისაც კარგია.

* * *

ნაძვები დამძიმებულ ტოტებს ხრიან და, როგორც კი ბელა ტოტს წვეროში დაქაჩავს, იმ წამს ფრიალით ეშვება მშრალი თოვლი. შეტოკებული ტოტის უეცარი ამსუბუქება ხელცარიელს ტოვებს ბელას – ქალს ბავშვივით უხარია ნესტოების აწვამდე სუფთა და ცივი ჰაერი, ზემოდან ბარდნა, ქვემოდან ჭრაჭუნი, ყურებთან შრიალი თოვლის მსუბუქი ფთილების...

– მრავალს დაესწარით, ჩემო ბატონო!

– ასე თეთრად დამიბერდით!

– ქალბატონო ბელა, უხდებით ქალაქს!

უყვართ მოქალაქეებს, როცა საკუთარი სასახელო ადამიანი ჰყავთ – კარგად ამაყობენ და კარგადაც ჭორაობენ. ქალბატონი ბელა მარტო მისით სიამაყეს ამჩნევს, ჭორაობას – ვერა. მიაბიჯებს თავადაც ამაყი და თავმდაბალი, საკუთარი თავმდაბლობით მოხიბლული და

გულაჩუყებული. გამვლელებს ესალმება. სანიმუშო ოჯახის დედა, დამსახურებული წარსულით, მამამთილით და ქმრით, კარგად აღზრდილი შვილებით. თვითონ ასე ფიქრობს და სხვებიც ასე ეუბნებიან. მთელი ამ დამსახურების სიმბოლო და დასტური, მამამთილის შრომის და ბრძოლის გმირობათა ორდენ-მედლებით დაწყებული, თავისი და მეუღლის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მიღებული ბაბთა-გულსაკიდებით გაგრძელებული და ბავშვების სანიმუშო მოსწავლე-აქტივისტობის სამკერდე ნიშნებით დამთავრებული, რუდუნებით ნაგროვებ-ნაპრიალები ჯილდოების კოლექცია შინდისფერი ატლასის ბალიშზე განისვენებს მის საძინებელში. მისი მთავარი სიამაყე და საგანძური, მედლები, ორდენები, სამკერდე ნიშნები, სულ 23 ცალი. ბექას ოქტომბრელობის სამკერდე ნიშანიც კი შენახული აქვს, დანარჩენებმა მოასწრეს დაკარგვა. მამამთილი სკლეროზამდეც ,,ჯინჯილებს" ეძახდა ამ კოლექციას. ,,ჯიჯნჯილები" ერქვას რა, სხვა რა რჩება მისი ცხოვრებიდან და მიღწევებიდან? "ჯინჯილები" და დიპლომ-სიგელები. ბავშვებს აკრძალული აქვთ ბელას გარეშე ამ ბალიშთან მიახლოება. საგანგებო შემთხვევებში ბელა თვითონ ათვალიერებინებს შვილიშვილებს და სტუმრებს იმ პირობით, თუ მის ვრცელ ლექციასაც მოისმენენ ჯილდოების წარმომავლობის შესახებ.

– მრავალს დაესწარით, ჩემო ბატონო, დღე მშვიდობისა! — პართენას მიესალმა.

– უი, გილოცავთ, ქალბატონო ბელა, რა კაია, რო მობრძანდით!

– ათ პურს წავიღებ ახლა და მერე კიდე ბავშვები ჩამოვლენ...

– მე ვაპირებდი თქვენთან ამოსვლას, – უთხრა პართენამ და ჩანთაში პურის ჩალაგება დაიწყო.

– მობრძანდით, ბატონო, გაგვახარეთ თქვენი სტუმრობით!

– არა, რაკი თქვენ თვითონ ჩამობრძანდით... თქვენი მამამთილი იყო აქ, ბატონი ქუჯი.

– რას ბრძანებთ! სახლში დავტოვე ახლა, შეშაზე ჩავიდა სარდაფში.

– დილით იყო, 30 პური წამოიღო და ...

გამყიდველმა ოქროსფერვარაყიანი დიდი შავი ქისა ამოიღო დახლსქვეშიდან, დახლზე მოაპირქვავა და დაფერთხა.

– ა, ეს დამიტოვა!

– უუუი!.. ჯინჯილები! – დაიყვირა ბელამ.

ოთხი თაობის "ჯინჯილები", დახვავებული აქ, პართენას მაღაზიის დახლზე, საბრალობლად ცოტა მოეჩვენა ბელას. მისი სიამაყე, მთელი მათი დიდი და ღვაწლმოსილი ოჯახის ცხოვრების ჯილდო და ფასი, გადახდილი 30 პურში! უნდა ეცინა, თუ უნდა ეტირა, აღარ იცოდა. ორივესთვის მზად იყო. ორივე ერთდროულად გააკეთა – გაიცინა, თავი უკან გადახარა და თვალებში ცრემლები ჩაუგუბდა.

– არ მინდა-მეთქი, ვეხვეწე, – თავი იმართლა პართენამ, – მაგრამ, გამიბრაზდა, ნისია რა საკადრისიაო...

* * *

– ალო, ბელა ხარ? მრავალს დაესწარი, გენაცვალე, შენი ლამაზი ოჯახით!..

– შენიანად, შემოგევლე, გულიკო!..

– ქე მერიდება ცოტა, ბელა, მარა უთქმელობა უფრო მერიდება, შენი ჭირიმე. შენი მამამთილი იყო დილას ჩვენთან...

– არ გადამრიო! რა უნდოდა, გულიკო?!

– ხუთი პური მოგვიტანა და თათრული კვახი, შემოვდგი ფეხიო...

– რას მელაპარაკები!

– თაფლი გამოვატანე კილოიანი ,,ბანკით", სხვა არაფერი მქონდა...

– სახლში ვერაფრით ვერ გავახსენეთ ახალი წელი რომაა და მად მაინც თუ გაიხსენა...

* * *

– ბელა დეიდა, მარინე ვარ, გილოცავთ ახალ წელს!

– გაიხარე, შვილო, თქვენებს მიულოცე!

– ბელა დეიდა, ქუჯი ბაბუა მოვიდა დილით, პური და ერთი ქილა თაფლი მოგვიტანა, შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო.

– გადასარევი! გარეთ ახსოვს, რომ ახალი წელია, სახლში არ ახსოვს. კაი ფეხი აქვს, შვილო, ოჯახში სულ ეგ გვყავდა მეკვლედ, მაგრამ ახლა ვეღარ გავახსენეთ.

– დედამ კაი თათრული კვახი გამოატანა.

* * *

მინაზებული და ვნებიანი ხმა ესმოდა მობილურში დივანზე მიწოლილ ბექას.

– აუ, აზრზე ხარ? ბაბუაშენი მოვიდა ჩვენთან, ,,პლოსკო" და პური მოგვიტანა...

– რა მოგიტანააათ?!

– წითელტარიანი ,,პლოსკო" და 5 პური. მეკვლეს პონტში, რა. – კისკისებდა ლიზი, – დედამ გოზინაყი გამოატანა. რო მოვა, პალტოს მარჯვენა ჯიბეში ჩაუყავი ხელი, რა, ფლზ! რაღაც დაგიწერე...

– ბაბუაჩემის ჯიბეში ხელი როგორ ჩავყო?!

– აუ, გთხოოვ, რა! ჩუმად ჩავუდე შენთვის, მაგარი საყვარლობა ბარათია, ასე გახსნი და ,,ჯინგლ ბელსს" უკრავს და გული ხატია, დანარჩენს შენით ნახავ...

– ვა, გაახსენდა ბაბუას ახალი წელი? მაგარია!

– აუ, რა მაგარი ბაბუაა! შენ გგავს ლურჯი თვალებით და სიმაღლით.

ბექამ ფიქრიანად ჩააფახულა გრძელი წამწამები, ,,პლოსკო?!", გაიფიქრა...

* * *

– ბელა, შენი ჭირიმე, შენი მამამთილი მოვიდა დილას, 5 პური მოგვიტანა და გოზინაყი და რაღაცა წერილია, ძაან ლამაზი, ეტყობა შენ გიგზავნიან.

– წერილი? გადამრევს ეს კაცი!

– ხო, უფრო სწორად, ,,ატკრიტკა". უი, ახლა გადავხსენი და მუსიკა დაუკრა! გილოცავენ ახალ წელს, ნახე რას გწერენ: "12-ზე რეკენ ზარები სიყვარულისა და მე 12-ჯერ გკოცნი გაოცებულ, უძირო, ზღვისფერ თვალებში", – წაუკითხა მაიკომ ყურმილში, – უი, მგონი არაა შენი! ისა და, 5 ჩურჩხელა გამოგიგზავნე...

,,სხვისია, სად მაქვს ზღვისფერი თვალები? ნეტა ვისია და საიდან წამოიღო?" – ფიქრობდა ბელა. მართლა, არ ჰქონდა ზღვისფერი თვალები, მარტო გაოცებული ჰქონდა. ყურმილში ბარათის წკარუნი მოისმა...

* * *

– სადაა ბაბუა, ბავშვებო? – დადო ყურმილი ბელამ.

– კაცო, ,,პლოსკო" დავდე ,,ბალკონზე" წითელტარიანი, ვინ აიღო? – შემოვიდა ფარნა.

– შეშა მოვიტანე! – შემოაღო კარი ქუჯიმ და გრძელი ნაბიჯებით გააბიჯა პირდაპირ ბუხრისკენ. იქ ფრთხილად, უხმაუროდ დაალაგა თეთრად მოქათქათე შეშა, – ახლა უფრო ღონივრებს და ხმელებს მოვიტან, ისიც დავჭერი, – თქვა და გავიდა.

– რა არის ეს, ფარნა? – შეშისთვის თვალი არ მოუშორებია ბელას, ისე იკითხა.

– სად? – მოიხედა ფარნამ, ხელში გატრუსული გოჭი ეჭირა, ,,შეშას" თვითონაც გაშეშებული დააკვირდა და ღონემიხდილმა ამოიღრიტინა:

– აუჰ! ,,დიუმა და პოლდიუმა!.." ჩემი წყლის ტრუბები!..

– კიდე მოვიტანო... არიქა, ფარნა! – შესძახა ბელამ.

ფარნა გოჭიანად გავარდა კარისკენ, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. ქუჯი ,,შეშის" ახალი პარტიით შემოვიდა და ოჯახს მიახარა:

– ქვეყნის შეშა დავხერხე, ძველით ახალ წლამდე თავისუფლები ვართ!

– ესეც ,,ტრი ჩეტვერტი", ჩემი ,,სტაიაკი!" – დაჭრილ მილებს დააჩერდა ფარნა. – რა კოხტად დაუჭრია, სულ ერთ ზომაზე.

– რა ვქნათ ახლა, ფარნა? – ბელა ლამის ატირდა.

– რა უნდა ვქნათ! შეუნთე და ააგუგუნე ბუხარი, გავჭვარტლოთ ერთი აქაურობა! – ფარნამ აიქნია ხელი და გარეთ გავიდა...

* * *

– ჰე, მორთეთ ახლა ნაძვი, სად არის ფიქრია!

– რამსიმაღლეაააა! მეც მოგეხმარებით, რა!

– ყველამ ერთად მოვრთოთ!

– ამ დაწესებულებას პატრონი არა ჰყავს?

– ახალი წელია, მამა, ახალი წელი!

– რა დროს ახალი წელია, შექალო, აგრე კი არ გამოვჩერჩეტებულვარ! – ჩაიღიმილა ქუჯიმ.

– არაუშავს, – დაამშვიდა ოჯახი ფარნამ, – ნაძვის ხეს რომ ავანთებთ, ყველაფერს გაიხსენებს, იმ წუთში, ხელათ!

* * *

– ვისი ქორწილია, რა ხდება?

– ახალი წელია, ბაბუაა!

– აი, შე ხუმარა-ცრუპენტელა, ახალ წლამდე შვიდი თვეა!

როცა ბავშვებმა ნაძვის ხის მორთვა დაამთავრეს, ერთი, ორი, სამიო, დაითვალეს და ნათურები ჩართეს, როცა ლამის ოთახისსიმაღლე ნაძვის ხე აინთო და მთელი ოთახი ააჩახჩახა, ოჯახმა ნაძვის ხის ნაცვლად ქუჯის მიაპყრო, ბეკოს, კეკიას და ჟიჟის თვალების ჩათვლით, 22 წყვილი თვალი. ქუჯი წამოდგა, ხელები ზეაღმართა და შესძახა:

– განათდი, განათდი, ახალო იერუსალიმო!

გულში ღრუბელშეპარული ცოლ-შვილი ფარნამ ასე დაამშვიდა:

– არაუშავს, 12-ზე სროლა რო ატყდება, ყველაფერს უცებ გაიხსენებს, ხელათ!

– მართლა?

– ოოო, თოფი უყვარს უბედურათ! გამოიტანს ,,ბერდენკას", აგერ მიყურეთ, თუ არა.

ოჯახმა მზადება განაგრძო და 12-ს დაელოდა. პატარა სოლომონიც კი გრძნობდა, რომ 12 საათზე ბაბუას რაღაც სანუგეშო უნდა ჩაედინა. ერთადერთი, ვისაც არც ბაბუას სკლეროზი ადარდებდა და არც სამზადისის 12-მდე მოსწრება, ნორჩი ქუჯი იყო, რომელიც მეზობელ ოთახში ისევ გაბმით ტიროდა, რაღაც სხვა, ამოუხსნელი დარდის გამო. დიდმა ბაბუამ ერთხელ შეიხედა ოთახში – ტირის ბავშვი, მეორედ შეიხედა – ტირის, მერე თვალი გააყოლა რძალს, რომელიც ბოთლით ბავშვის საჭმელს მიარბენინებდა, მერე ოთახს ჩაუარა, მიაყურადა, კვლავ ტირილი შემოესმა, მერე ჩამოუარა, მოაყურადა, გაოცებული მიადგა ფარნას და მოითხოვა:

– დაკალით ე გოჭი, რაღას აჭყივლებთ?!

– ვაიმე, არ დაკლას! – მკლავში ჩაეჭიდა ქმარს რძალი...

***

დიდ-პატარა ფერად თაიგულებად, ღეროებად, ყვავილებად გაიშალა ფეირვერკები 12-ზე, განათდა პატარა ქალაქი. წამოვიდა სინათლის ბათქა-ბუთქა ბურთები და ერთყუნწიანი, მაღალფეხიანი მიხაკები ციდან. გორაკებიდან ახლო სოფლები გადმოდგნენ, ხმაურით გამოგზავნეს ფერადი მფრინავი ბაბუაწვერები.

– არიქა, ბაბუა, უნდა ვისროლოთ!

– წამო, მამა, დაიწყეს უკვე!

– დროზე, დროზე, არ გაგვასწროს ახალმა წელმა, ბაბუა!

მთელი ოჯახი აივანზე გავიდა, აატკაცუნეს ბავშვებმა ფერადი მაშხალები და პისტოლეტები. რემბოსავით შეიარაღებულმა გვარამმა ნაღმტყორცნისოდენა გრანდპეტარდა ძლივს გამოატია კარებში. ისროდა, ხმაურობდა 20 სულიანი ოჯახი მრავალი სასროლით, ორი ძაღლით და ერთი ციკნით და ფარულად თვალს აპარებდა 110 წლის ქუჯისკენ. ახლა უნდა შებრუნდეს ქუჯი, გამოიტანოს თავისი ,,ბერდენკა" და ვარსკვლავებს აახალოს. მართლაც, შებრუნდა ქუჯი მარჯვნივ, სალუტებს დააკვირდა, მერე მარცხნივ შემობრუნდა, მოათვალიერა არემარე, აათვალიერა ცა, აღელდა, გაბრწყინდა, ხელები გაშალა.

– ოხ, ტესლა, ტესლა! შე ჯადოქარო, შე სიტყვისკაცო! – შესძახა, – სად გამომიგზავნა ბურთულა-ელვები, ნახეთ?! მოსკოვში შემპირდა, საქართველოში გამოგიგზავნიო და, აჰა!

დიდი, ჩალისფერი ნაგაზი ქუჯისკენ გაიქცა და ფეხებზე შეახტა გახარებული.

– ოოხ, შე ეშმაკის ფეხო, ტესლა, ტესლა! ვინც შენ არ გიცნობს!

ძაღლი გაგიჟდა სიხარულით, ახტუნავდა ეს დარბაისელი ნაგაზი.

ნაგაზს ,,გესლა" ერქვა. რახანია, მისი სახელი აღარ გასხენებია ქუჯის...

***

ვერც სადღეგრძელოებმა, ვერც საცივმა და ღორის თავმა, ვერც მრავალჟამიერმა, ვერც კაცა-ბასილამ და ბიკიკეებმა, ვერაფერმა ვერ შეაღწია ქუჯის დაბინდულ მეხსიერებაში. მისი საუკუნოვანი გონების დახურულ არქივში არ მოიძებნა ახალი წლის დავთრები. ხან იკითხა, ვისი ქორწილიაო? ხან – პირველი სექტემბერიაო? ხან კოხინჯრობა მიულოცა ოჯახს, ხანაც სიმწიფის ატესტატი...

– არა უშავს, – თქვა ბოლოს ფარნამ, – ცეცხლს მაინც მამაჩემი ანთებს და ცეცხლს ვინც დაანთებს დილით, მეკვლეც ისაა ავტომატურად.

ღამის 3 საათისთვის ქალებმა მაგიდის ალაგება დაამთავრეს და ჭურჭელი დარეცხეს. ბელამ ქათმის, ინდაურის და ღორის ძვლებით სავსე დიდი ხის გობი აივანზე გაიტანა და კარადის თავზე შემოდგა – დილით კაცები გაიღვიძებენ და თვითონ აჭმევენ ძაღლებს. გული დაუმძიმდა ბელას – ისე ჩაიარა ზეიმმა, რომ ქუჯის ერთხელაც არ უხსენებია ახალი წელი ან მისი რაიმე ნიშანი. ვინ იქნება დილით მათი მეკვლე? ყოველ ახალ წელს ქუჯი დგებოდა ადრე, ანთებდა ბუხარს, გავიდოდა, თოვლს გაკვალავდა, მერე დაბრუნდებოდა სახლში კაცა-ბასილათი და შოკოლადებით ხელში, ,,შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!" – და ყველას საკუთარი ხელით ჩაუდებდა პირში შოკოლადს ან გოზინაყის ნატეხს, ტკბილად დამიბერდითო. სხვა მეკვლე არც უნდოდათ – ჯანმრთელები იყვნენ, მრავლდებოდნენ. ოჯახი კი არა, ნათესავებიც ქუჯის სთხოვდნენ, პირველ იანვარს, სანამ ვინმე მრუდფეხა მოგვადგება, თქვენ გვეწვიეთო...

ადრე ამდგარ ბელას ბუხარი დანთებული დახვდა. დაუნთია ცეცხლი, მაგრამ რანაირი მეკვლეა დღეს დიდი ქუჯი? თვითონ ვერ დააგემოვნა ახალი წელი, ალბათ ვერც საკუთარ დაბადების დღეს დააგემოვნებს...

გაიღვიძა დიდმა ჯალაბმა, ხელ-პირი დაიბანა, ამინდს გახედა, დიდი ქუჯი მოიკითხა. გასული იყო ქუჯი ეზოში. დაანებეთ, გაიარ-გამოიაროს ახალ თოვლში პირველმაო, თქვა ბელამ, მაინც მეკვლის მადლი მოაქვს მაგის ნაფეხურებსო...

ქალებმა გაშალეს დილის საახალწლო სუფრა.

– ბავშვებო, დაუძახეთ ბაბუას და დავსხდეთ!

დათო წინა კარიდან გავიდა ბაბუას მოსაძებნად. დათოს გასვლა წინა კარიდან და ქუჯის შემოსვლა უკანა კარიდან ერთი იყო. ქუჯის გვარამის ჩამოტანილი ქოხისოდენა თეთრი ნაბადი მოესხა, თავზე შინდისფერი ყაბალახი მოეხვია, ფეხზე გაპრიალებული, თოვლშერჩენილი ტყავის ჩექმა ეცვა. ორი ხელით ეჭირა საზეიმოდ წინ წამოწვდილი ქათმის, გოჭის, ინდაურის და ღორის ძვლებით სავსე ვეება ხის გობი.

– შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! – დასჭექა და გობი ბელას გაუწოდა. ბელამ, მონუსხულმა და სიხარულისგან ხმაწართმეულმა ჩამოართვა გობი.

– თქვენ შემოგევლეთ, თოვლის ბაბუა! – ჩაიჩურჩულა.

ქუჯიმ მონაგარს დინჯად ჩამოუარა და ყველას ჩაუდო პირში თითო ძვალი, ხის გობიდან აღებული. პატარებს ცოტა მომცროები აურჩია. მონაგარი მოჯადოებულივით დამწკრივდა, რიგში ჩადგა და პირი დააღო აღტაცებულმა და დაბნეულმა. ყველაზე დიდი, ღორის ქვედა ყბის ძვალი გვარამს ერგო, მონუმენტური საჩუქრების მოყვარულს. ქუჯი ჩამორიგებას მორჩა და წრეზე ჩამომდგარ ოჯახს ლაღი ღიმილით გადახედა.

– ასე ტკბილად დამიბერდით!

გვარამი, ღორის ქვედა ყბით პირში, ჭერში იყურებოდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ღორის მთლიანი ზედა ყბა ჯერ კიდევ მაგიდაზე იდო შეუჭმელი. ერთხანს ასე იდგნენ ძვლებით კბილებში და ცირკში გაწვრთნილი, უკანა ფეხებზე შემდგარი ძაღლებივით შეჰყურებდნენ მომთვინიერებელ ქუჯის. პირველი ფარნა მოეგო გონს, ჯერ თვითონ გამოიღო პირიდან გოჭის თავის ქალა, მერე ყველაზე პატარა თამარს და სოლომონს გამოუღო პირიდან ქათმის კიპკიპები და გამოაცხადა:

– ჰე, შევყეფოთ ერთი და დავსხდეთ!

– ბავშვებო, ჩამოართვით მეკვლეს ნაბადი და დააბრძანეთ სუფრის თავში! – თქვა ბელამ.

– წამობრძანდით, მეკვლე-ბატონო! – აქეთ-იქით ამოუდგნენ დათო და ფიქრია და გრძელი სუფრის სათამადოსკენ წაიყვანეს. ქუჯიმ კმაყოფილმა გააბიჯა საპატიო ბადრაგის თანხლებით და თან საზეიმო სიტყვა წარმოთქვა:

– ამაყად მოაბიჯებენ საბჭოთა მეკვლეები პრეზიდიუმის წინ რევოლუციის სამოცდახუთი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო აღლუმზე და მათ მიაცილებს საბჭოთა ხალხის მგზნებარე სიყვარული და ლენინური სულისკვეთება.

– რაოო?!

ბავშვებმა ნაბადი მოხადეს და საუფროსო სკამზე დასვეს.

დაჯდომის წინ ყველამ ჭიქა ასწია და ქუჯის მიუჭახუნა.

– გილოცავთ ახალ წელს და დაბადების დღეს, მამა! კიდე ასი ათი წელი იცოცხლე, ბაბუა! – ლოცავდა მთელი მონაგარი.

ქუჯი ვალმოხდილი და ბედნიერი იღიმებოდა, ჭიქას უჭახუნებდა, უსმენდა სადღეგრძელოებს და თავს აქნევდა. ბოლოს დასკვნითი სიტყვა თქვა:

– საბჭოთა მეკვლეებს მიესალმება მადლიერი ერი! – ჭიქა დადგა და დაჯდა. შინდისფერი ჩოხა გაისწორა. მკერდზე განფენილ ოთხი თაობის "ჯინჯილებზე" ირიბად დაიხედა.

ნინო გუგეშაშვილი